საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/35

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" სწავლის საფასურისა და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"** დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის №01-02/59 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორის მამუკა გოგელიას 2023 წლის 07 მარტის №265729 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"** სწავლის საფასური განისაზღვროს **ერთ მსმენელზე 1000** (ათასი) **ლარით** (არანაკლებ 8 და არაუმეტეს 10 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფში).
2. შრომის 1 (ერთი) საათის ანაზღაურების ოდენობა 8-10 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის შემთხვევაში როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის (მასწავლებელი/ტრენერი) ისე დამხმარე პერსონალისთვის **განისაზღვროს 50 ლარით.**
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი *მ. დიასამიძე*